

# ტესტი გეოგრაფიაში

## ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 59.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-17

**ინსტრუქცია**

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. ძირითადად რომელ კლიმატურ სარტყელშია გავრცელებული ხეშემფოთლიანი ტყეებისა და ბუჩქნარების ბუნებრივი ზონა?


ა) ზომიერში;

ბ) სუბტროპიკულში;

გ) სუბეკვატორულში;

დ) ეკვატორულში.

2. ჩრდილოეთ ნახევარსფეროს სუბტროპიკული სარტყლის რომელ მდინარეს ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მყინვარული წყლებით საზრდოობა?




ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

3. რის შესახებ ვერ ვიმსჯელებთ მოცემული ილუსტრაციის საფუძველზე?



- ა) გლაციალური პროცესების;
- ბ) რელიეფწარმომქმნელი პროცესების;
- გ) მდინარეთა საზრდოობის;
- დ) კარსტული პროცესების.

4. სად მდებარეობს გეოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი უძველესი ძირულის კრისტალური მასივი?

- ა) რაჭის კავკასიონის ფარგლებში;
- ბ) მთათაშორისი ბარის ფარგლებში;
- გ) მცირე კავკასიონის ფარგლებში;
- დ) აფხაზეთის კავკასიონის ფარგლებში.

5. საქართველოს ეს დაცული ტერიტორია შეიქმნა 1973 წელს, თუმცა მოგვიანებით მან დაკარგა სტატუსი. 2007 წელს მისი ტერიტორია გაფართოვდა (21,036.14 ჰა) და კვლავ დაუბრუნდა სტატუსი. იგი განედურად გადაჭიმულია მდ. მტკვრიდან მდ. იორამდე და მოიცავს საგურამოს, გლდანის, მარტყოფის, ლულელებისა და გარდაბნის უბნებს. რომელი დაცული ტერიტორიაა აღწერილი?

ა) ბაწარის სახელმწიფო ნაკრძალი;

ბ) ალგეთის ეროვნული პარკი;

გ) თბილისის ეროვნული პარკი;

დ) მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი.

## 6. რომელია მართებული მსჯელობა შავი ზღვის შესახებ?

- ა) გამოირჩევა რთული და მკვეთრად დანაწევრებული სანაპირო ზოლით, სადაც ბევრია დიდი კუნძული, ყურე და ნახევარკუნძული;
- ბ) გრძედული განფენილობა აღემატება განედურს და მოქცეულია ჩ.გ. 39°-სა და 54°-ს შორის;
- გ) მისი გავლენა საქართველოს ჰავაზე მხოლოდ სანაპირო ზოლის ფარგლებში ვრცელდება;
- დ) ნალექების რაოდენობა და მდინარეთა ჩამონადენი აღემატება აორთქლებას, მისი ზედაპირული წყლის მარილიანობა მერყეობს 17-დან 22‰-მდე.



7. რისი პლანტაციაა გამოსახული ფოტოზე?



- ა) არყის;
- ბ) ლელვის;
- გ) ჰევეას;
- დ) ევკალიპტის.

8. საქართველოს რომელ ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციაში არ არის განვითარებული მეციტრუსეობა?

ა) გურიაში;

ბ) აჭარაში;

გ) ჯავახეთში;

დ) აფხაზეთში.

9. ეკონომიკის ისეთი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, არის:

ა) ინდუსტრიალიზაცია;

ბ) მდგრადი განვითარება;

გ) გლობალიზაცია;

დ) ეკონომიკის დივერსიფიკაცია.

10. რა ეწოდება წარმოების ორგანიზების ფორმას, რომლის დროსაც წარმოების ცალკეული სახეები, ან მათი ნაწილები, თავმოყრილია ერთ საწარმოში, ქალაქში, რეგიონში და ა. შ.?

ა) ავტომატიზაცია;

ბ) სპეციალიზაცია;


გ) კოოპერირება;

დ) მონოპოლიზაცია.

11. ილუსტრაციებზე ნაჩვენები რომელი ელექტროსადგური არ ფუნქციონირებს საქართველოში?



12. რომელი სამხარეო ერთეულის მოსახლეობის რაოდენობის დინამიკას შეესაბამება გრაფიკზე მოცემული B ხაზი?



ა) გურიის;

ბ) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის;

გ) მცხეთა-მთიანეთის;

დ) სამცხე-ჯავახეთის.

13. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით რომელია აშშ-ის უდიდესი შტატი?

ა) ალასკა;

ბ) ნევადა;

გ) კალიფორნია;

დ) პენსილვანია.

14. რომელ ჩამონათვალშია მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის პორტები?

ა) მონპელიე, მარსელი, ჰავრი;


ბ) კალე, მარსელი, ტულონი;

გ) მონპელიე, მარსელი, ბრესტი;

დ) მონპელიე, მარსელი, ნიცა.



15. ჩამოთვლილთაგან რომელ რეგიონშია გარემოსდაცვის სფეროში გამოვლენილი სამართალდარღვევების უფრო დაბალი წილი?



- ა) იმერეთის;
- ბ) კახეთის;
- გ) გურიის;
- დ) სამეგრელო-ზემო სვანეთის.

16. რომელი ქვეყნის დროშასთან აქვს ყველაზე მეტი მსგავსება საქართველოს დროშას?

ა) ესპანეთის;

ბ) პორტუგალიის;

გ) ინგლისის;

დ) საფრანგეთის.

## 17. რომელია მართებული მსჯელობა?

- ა) გაეროს ათასწლეულის განვითარების მიზნები ემსახურება მხოლოდ სიღარიბისა და შიმშილის პრობლემის მოგვარებას;
- ბ) გენერალურ ასამბლეაში გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს ხმის მიცემის თანაბარი უფლება აქვს (1 ხმა);
- გ) გაეროს ოფიციალური ენებია: ფრანგული, იტალიური, იაპონური, რუსული და ჩინური;
- დ) იუნესკოს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა.

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 18-23

ინსტრუქცია







დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

18. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოერება შესაძლებელია):

	ზღვა		ოკეანე
ა	იონიის	1	წყნარი
ბ	ტიმორის	2	ატლანტის
გ	ლიგურიის	3	ინდოეთის
დ	უედელის	4	ჩრდილოეთის ყინულოვანი
ე	ბოფორტის	5	სამხრეთის
ვ	ანდამანის		
ზ	ტასმანის		

19. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

ფოტო

ა		ბ		ბ	
ბ		ე		ვ	







სახელმწიფო

1	2	3	4	5	6	7	8
აშშ	კანადა	ჩინეთი	ინდოეთი	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	ესპანეთი

20. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):







	მცინვარი		მდინარის აუზი
ა	ლუხზირი	1	ენგური
ბ	დევდარაკი	2	რიონი
გ	ზოფხიტო	3	თერგი
დ	შხარა		
ე	ჭალაათი		
ვ	გერგეთი		
ზ	კირტიშო		
თ	წანერი		

21. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

ცხოველი			
ა	ბ	გ	დ
ვეფხვი	პუმა	ლეოპარდი	ევრაზიული ფოცხვერი
გავრცელების არეალი			
<b>1</b>		<b>2</b>	
<b>3</b>		<b>4</b>	
<b>5</b>		<b>6</b>	









22. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება არ არის შესაძლებელი):

სამარკო ღვინო						
ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ
						
ხვანჭკარა	ოჯალეში	ციცქა-ცოლიკოური	ტვიში	მუკუზანი	ჩხავერი	
ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია, რომელიც ითვლება კონკრეტული ღვინის სამშობლოდ						
1	2	3	4	5	6	7
იმერეთი	კახეთი	სამეგრელო	რაჭა	გურია	ლეჩხუმი	ქართლი

23. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

მწვერვალის ფოტო

ა	 <p data-bbox="437 478 837 535">42°31'50"ჩ.გ. 44°46'17"ა.გ.</p>	ბ	 <p data-bbox="1236 478 1635 535">43°07'35"ჩ.გ. 42°39'38"ა.გ.</p>	გ	 <p data-bbox="2099 478 2498 535">41°26'17"ჩ.გ. 43°38'45"ა.გ.</p>
დ	 <p data-bbox="437 863 837 921">42°41'57"ჩ.გ. 44°31'06" ა.გ.</p>	ე	 <p data-bbox="1236 863 1635 921">41°50'26"ჩ.გ. 42°39'50"ა.გ.</p>	ვ	 <p data-bbox="2099 863 2498 921">43°01'47"ჩ.გ. 42°59'42"ა.გ.</p>

ქედი, რომელზეც მწვერვალი მდებარეობს

1	2	3	4
სამსარის	კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი	ხოხის	მესხეთის (აჭარა-იმერეთის)

➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 24-28

ინსტრუქცია


ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

24. (3 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:

24.1. (1 ქ.) რომელი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაა ნაჩვენები ილუსტრაციებზე?

24.2. (1 ქ.) რა ეწოდება ფოტოზე ნაჩვენებ წიაღისეულის მოპოვების ხერხს/წესს?

24.3. (1 ქ.) რომელ ეკოლოგიურ პრობლემას იწვევს წიაღისეულის მოპოვების აღნიშნული ხერხი/წესი?




25. (5 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:

25.1. (1 ქ.) რომელი გლობალური პრობლემა იკითხება ილუსტრაციაზე?

25.2. (3 ქ.) დაასახელეთ ერთი სოციალურ-ეკონომიკური, ერთი პოლიტიკური და ერთი ეკოლოგიური შედეგი, რომელიც შეიძლება აღნიშნულმა გლობალურმა პრობლემამ გამოიწვიოს?

25.3. (1 ქ.) რა პრევენციულ ზომებს ღებულობს მსოფლიოს თანამეგობრობა აღნიშნული პრობლემის დასარეგულირებლად?




## 26. (4 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:

26.1. (1 ქ.) რომელი გლობალური ეკოლოგიური პრობლემის ახსნისას გამოიყენებთ მოცემულ ილუსტრაციებს?

26.2. (2 ქ.) დაასახელეთ ორი ბუნებრივი ფაქტორი, რომლებიც განაპირობებს თქვენ მიერ აღნიშნულ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას.

26.3. (1 ქ.) დაასახელეთ ანთროპოგენური ფაქტორი, რომელიც განაპირობებს თქვენ მიერ აღნიშნულ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას.



27. (3 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაციები და უპასუხეთ კითხვებს:




27.1. (1 ქ.) დაასახელეთ (A) ფოტოზე გამოსახული რელიეფის ფორმის წარმოქმნის ძირითადი მიზეზი.

27.2. (1 ქ.) დაასახელეთ (B) ფოტოზე გამოსახული რელიეფის ფორმის წარმოქმნის ძირითადი მიზეზი.

27.3. (1 ქ.) რომელი თემის ახსნისას გამოიყენებთ მოცემულ ილუსტრაციებს?




28. (10 ქ.) გაანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

<p><b>A</b></p>  <p>ოქროს ქვიშები</p>	<p><b>B</b></p>  <p>შარმ-ელ-შეიხი</p>	<p><b>C</b></p>  <p>იურმალა</p>
--	---	--

გადასვლა: [28.1. კითხვაზე](#); [28.2-28.3 კითხვაზე](#)



28.1. (2 ქ.) კლიმატური დიაგრამის მიხედვით განსაზღვრეთ:



28.1.1. (1 ქ.) ილუსტრაციაზე ნაჩვენები რომელი კურორტის კლიმატს შეესაბამება მოცემული დიაგრამა?

28.1.2. (1 ქ.) რას უდრის ჰაერის საშუალო ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

გადასვლა: [ილუსტრაციაზე](#)

28.2. (6 ქ.) შეავსეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილი:

	ზღვის სახელწოდება და ოკეანე, რომლის აუზშიც მდებარეობს ეს ზღვა	სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ზღვაზე ნაჩვენები კურორტი
A		
B		
C		

28.3. (2 ქ.) დაასახელეთ კურორტი, სადაც ზღვის წყლის მარილიანობა ყველაზე დაბალია. გეოგრაფიული მდებარეობის გარდა, ახსენით, რა განაპირობებს აღნიშნულ გარემოებას?

გადასვლა: [ილუსტრაციაზე](#)

➤ რუკის ანალიზი - დავალება # 29

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ტოპოგრაფიულ რუკას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

29. (5 ქ.) თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

29.1. ტოპოგრაფიულ რუკაზე ობიექტების დატანისას დაშვებულია 2 შეცდომა. რომელ ჩამონათვალშია მითითებული ორივე შეცდომა?

- ა) მდ. გეგას დინების მიმართულება და კოროს ტბის მდებარეობა;
- ბ) მ. მელოტის აბსოლუტური სიმაღლე და მდ. ჭკუდის დინების მიმართულება;
- გ) ტბა კოროს მდებარეობა და მდ. ჭკუდის დინების მიმართულება;
- დ) მდ. გეგას დინების მიმართულება და მ. მელოტის აბსოლუტური სიმაღლე.

29.2. მდ. გეგას შესართავიდან დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მდ. ჭკუდზე მდებარე ხიდი?

- ა)  $12^{\circ}$
- ბ)  $72^{\circ}$
- გ)  $172^{\circ}$
- დ)  $272^{\circ}$

29.3. რომელი მთის აბსოლუტური სიმაღლე შეესაბამება დაახლოებით 180,3 მეტრს?


- ა) დოლის;
- ბ) ბერას;
- გ) ლოდომისის;
- დ) მამლის მთის.

29.4. (2 ქ.) დაასახელეთ ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი ყველა ის წერტილი (A, B, C, D), საიდანაც ვერ მოხერხდება











მდ. ჭკუდზე მდებარე ხიდის დანახვა? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.



**რელიეფი**



ა) 216,4 ბ) 198,8



ძირითადი ჰორიზონტალები გაელებულია ყოველ 2.5 მეტრში  
 ა) ძირითადი ჰორიზონტალები  
 ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები  
 გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორი-  
 ზონტალები)  
 დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში  
 ე) კალთის დახრის მანვენებლები (ბერგშტრიხები)  
 ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშ-  
 ნულები

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით  
 ფლატე (ბეჭი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)  
 ყორღანები (2-ყორღანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)  
 ხრამებისა და დარტაფების სიგანე ა) 3-ზე ნაკლები;  
 ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სიგანე  
 ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოისახება  
 რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)

მცენარეული საფარი და ბრუნტი  
 მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები და  
 კონტურები

წიწვოვანი ტყე

ფართოფოთლოვანი ტყე

შერეული ტყე

ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო  
 სიმაღლე; 0.30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-ხეებს  
 შორის საშუალო მანძილი

ბუჩქნარის ვიწრო ზოლები

ცალკეული ფოთლოვანი კორომები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი  
 ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი

ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენ-  
 ტირის მნიშვნელობა

ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე

ტყეში არსებული გაჩეხილი გზების სიგანე  
 (4-გაჩეხილი გზის სიგანე მ-ში)

ა) მენხერი ტყე  
 ბ) გაჩეხილი ტყის ნაკვეთები


















ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების და-  
 ჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი (2-ბუჩქნარის საშუალო  
 სიმაღლე მ-ში)

ა) მდელი 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის  
 ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები

ა) სახნავი მიწები  
 ბ) ბოსტნები

ხის ღობეები, მესერი, ღობეწნულები

**საბზაო ქსელი**



ორლიანდაგიანი რკინიგზა  
 ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა  
 ჯიხურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მიწები

ჩაღრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები  
 (2-ჩაღრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის  
 სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიაღვრეებს შორის მ-ში.  
 ა-საფარის სახეობა), კილომეტრაჟის ნიშნები. კილომე-  
 ტრების წარწერები.

გზატკეცილი  
 გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-სავალი  
 ნაწილის სიგანე მ-ში)

გრუნტის გზები

მინდვრისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული  
 ნარგავები

ხიდეების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-სავალი  
 ნაწილის სიგანე მ-ში, 5-ტვირთამწეობა ტ-ში

ხიდეები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები;  
 2) 3-დან 13 მ-მდე

3 მ-მდე სიგანის მშრალი არხები  
 დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 - სიმაღლე მ-ში)

ჭები (169.1 - ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 - ჭის სიღრმე  
 წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)

წყაროები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლების  
 კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში  
 ნაგებობებით

კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის  
 ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში

სასოფლო და სააგარაკო ტიპის დასახლებებში  
 სახლების რაოდენობა

20-დან 100-მდე  
 (45 - სახლების რაოდენობა)

20-ზე ნაკლები

ცალკეული ალბილობრივი ნაბეზობები

მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები

ქარხნები


ღია ტიპის კარიერები: თიხ.- მოპოვებული  
 მასალა, 10 - კარიერის სიღრმე მ-ში

მოქმედი მდაროები  
 კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზები (სატელეფონო,  
 სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)



ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები

**ჰიდროგრაფია**



შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი,  
 ავტოტრანსპორტისთვის გაუვალი

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და  
 მეტი სიგანის გამოისახება რუკის მასშტაბში

წყლის კედის ნიშნულები

ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას  
 (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)

მდინარეების მახასიათებლები: 10-სიგანე; 1.2 - სიღრმე  
 მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში,  
 10 - ფონის სიგრძე, 0.4 - დინების სიჩქარე მ/წმ

ხიდეები ლითონის ერთთადიანი

ხიდეები ხის ერთთადიანი

**ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები**

ა	ასფალტი	აგ.	აგურის
ჯ	ჯიხური	ქ	ქვიშის
რქ.	რიყის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნად.	ნადვის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წსნ.	წყალსაქანი	მყ	მყარი
თიხ.	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქვ.	ქვიშის კარიერი
ლ.	ლამი	მად. ნახ.	ქვანახშირის მდარო